



საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტების მონიტორინგის ანგარიში

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ განახორციელა პროექტი 2010 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები - საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტების მონიტორინგი. პროექტი განხორციელდა შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ფინანსური და ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტის ტექნიკური მხარდაჭერით. პროექტი შედგებოდა ორი ფაზისაგან:

1. საარჩევნო ადმინისტრაციის ქვედა დონეების იმ მოხელეთა იდენტიფიცირება, რომელთაც 2008 წლის არჩევნების დროს (საპრეზიდენტო, საპარლამენტო და აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნები) დაეკისრათ სხვადასხვა სახის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ზომები;
2. 2010 წლის 30 მაისის ადგილობრივი თვითმმართველობისა და საქართველოს პარლამენტის შუალედური არჩევნებისთვის, საუბნო საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების მონიტორინგი.

პროექტის პირველი ფაზა „სამართლიანმა არჩევნებმა“ განახორციელა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასთან პარტნიორობით. ორივე სადამკვირვებლო ორგანიზაციამ მოიძია ისეთი საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეების ნუსხა, რომელთაც როგორც აღინიშნა მიეცათ გაფრთხილებები 2008 წლის არჩევნების დროს. ორივე ორგანიზაციის მიერ შედგა ორი სახის სია: ერთი - საარჩევნო მოხელეები, რომლებიც არჩევნების დროს გათავისუფლდნენ დაკავებული თანამდებობებიდან და აეკრძალათ საარჩევნო კომისიაში მუშაობა; მეორე - საარჩევნო მოხელეები, რომელთაც დაეკისრათ სხვადასხვა სახის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობების ზომები. აღნიშნული სიები შეიქმნა ცენტრალური და საოლქო საარჩევნო კომისიებიდან მიღებულ ინფორმაციასა და სადამკვირვებლო ორგანიზაციებში („სამართლიანი არჩევნები“, საია) არსებულ საჩივარ-



სამართლიანი არჩევნები

განცხადებების ბაზაზე დაყრდნობით.

საარჩევნო ადმინისტრაციის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაზრდის მიზნით „სამართლიანმა არჩევნებმა“ და საიამ ცენტრალურ საარჩევნო კომისიას ერთობლივად წარუდგინა საუბნო საარჩევნო კომისიათა მოხელეები, რომელთა არაკომპეტენტური მუშაობის გამო გაუქმდა ან/და სერიოზული სახის საჩივრები იქნა შეტანილი უბნებზე 2008 წლის არჩევნების დროს. სადამკვირვებლო ორგანიზაციებმა რეკომენდაციის სახით მოუწოდეს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას მათ მიერ მიწოდებული სია გაეგრძელებინა საოლქო საარჩევნო კომისიებში, რათა საუბნო საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების დროს მათ გაეთვალისწინებინათ აღნიშნული სიები და სიებში არსებული კონკრეტული პირები აღარ დაენიშნათ საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებად. ზემოთ აღნიშნული სია მოიცავდა სულ 20 საარჩევნო ოლქს საქართველოს მასშტაბით. ესენია: # 1 მთაწმინდის, # 3 საბურთალოს (აქ საკითხი ეხებოდა ოლქის წევრს და არა უბნის წევრს), # 4 კრწანისის, # 7 ჩუღურეთის, # 10 გლდანის, # 12 გურჯაანის, # 17 თელავის, # 18 ახმეტის, # 32

გორის, # 33 ქარელის, # 49 თერჯოლის, # 59 ქუთაისის, # 61 ლანჩხუთის, # 62 ჩოხატაურის, # 68 წალენჯიხის, # 70 ფოთის, # 79 ბათუმის, # 81 ქობულეთის, # 82 შუახევისა და # 83 ხელვაჩაურის საარჩევნო ოლქები. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ განაცხადა, რომ ეცდებოდა მაქსიმალურად გაეთვალისწინებინა მიწოდებული სიები.

პროექტის მეორე ფაზის განმავლობაში „სამართლიანმა არჩევნებმა“ განახორციელა მონიტორინგი რამდენადაც გაითვალისწინა საარჩევნო ადმინისტრაციამ აღნიშნული სიები და ასევე დააკვირდა საუბნო საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების ზოგად პროცესს ყველა საარჩევნო ოლქში. ორგანიზაციის გრძელვადიანი დამკვირვებლები 10-14 აპრილის განმავლობაში, როდესაც კომპლექტდებოდა საუბნო საარჩევნო კომისიები, ესწრებოდნენ საოლქო საარჩევნო კომისიების სხდომებს. მონიტორინგი განხორციელდა საქართველოს 72 საარჩევნო ოლქში (მესტიის, ახალგორისა და ლიახვის საარჩევნო ოლქების გამოკლებით). მონიტორინგის შედეგებით საქართველოს მასშტაბით სადამკვირვებლო ორგანიზაციების

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება

მისამართი: 0160 თბილისი,
ვაჟა ფშაველას გამზ. 7

ტელ: (995 32) 98 39 98
ფაქსი: (995 32) 37 22 13

ელ-ფოსტა: info@isfed.ge
ვებ-გვერდი: www.isfed.ge



სამართლიანი არჩევნები

მიერ წარდგენილი მოხელეთა სია გადაეცა 13 საოლქო საარჩევნო კომისიას, ხოლო არ გადაეცა 59 საარჩევნო ოლქს. თუმცა, როგორც უკვე აღნიშნეთ, აღნიშნული სია ყველა საარჩევნო ოლქს არ ეხებოდა, შესაბამისად არ იყო ამ სიების ყველა ოლქისთვის მიწოდების აუცილებლობა.

სიაში ჩამოთვლილი საარჩევნო ოლქებიდან (სულ 20), ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ საარჩევნო მოხელეების სია მიაწოდა სულ 5 საარჩევნო ოლქს - # 4 კრწანისის, # 10 გლდანის, # 17 თელავის, # 32 გორის, # 33 ქარელის, საარჩევნო ოლქები; არ გადაუცია 15 საარჩევნო ოლქისათვის - # 1 მთაწმინდის, # 7 ჩუღურეთის, # 12 გურჯაანის, # 18 ახმეტის, # 49 თერჯოლის, # 59 ქუთაისის, # 61 ლანჩხუთის, # 62 ჩოხატაურის, # 68 წალენჯიხის, # 70 ფოთის, # 79 ბათუმის, # 81 ქობულეთის, # 82 შუახევისა და # 83 ხელვაჩაურის საარჩევნო ოლქები.

რაც შეეხება ოლქების მიერ აღნიშნული ინფორმაციის გათვალისწინებას საუბნოს საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების დროს, გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები:

- არ გაითვალისწინეს, რადგან არ მოუღიათ აღნიშნული სია - # 1 მთაწმინდის, # 12 გურჯაანის, # 18 ახმეტის, # 59 ქუთაისის, # 61 ლანჩხუთის, # 62 ჩოხატაურის, # 81 ქობულეთის საოლქო საარჩევნო კომისიებმა;
- სია მიიღეს, მაგრამ არ გაითვალისწინეს - # 32 გორის, # 33 ქარელის, # 37 ახალციხის საარჩევნო ოლქებმა;
- სია მიიღო და ნაწილობრივ გაითვალისწინა - # 4 კრწანისის, # 10 გლდანის, # 17 თელავის საარჩევნო ოლქებმა;
- სიები არ მიუღიათ, მაგრამ ოლქში არსებულ ბაზაზე დაყრდნობით ნაწილობრივ გაითვალისწინეს - # 49 თერჯოლის, # 79 ბათუმის, # 82 შუახევის, # 83 ხელვაჩაურის საარჩევნო ოლქებმა;

სამართლიანი არჩევნებისა და
დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება

მისამართი: 0160 თბილისი,
ვაჟა ფშაველას გამზ. 7

ტელ: (995 32) 98 39 98
ფაქსი: (995 32) 37 22 13

ელ-ფოსტა: info@isfed.ge
ვებ-გვერდი: www.isfed.ge



სამართლიანი არჩევნები

- სიები არ მიუღიათ, მაგრამ ოლქში არსებულ ბაზაზე დაყრდნობით გაითვალისწინეს - **# 7 ჩუღურეთის, # 68 წალენჯიხის**, საარჩევნო ოლქებმა.

მონიტორინგის პერიოდში დაფიქსირდა ასევე შემთხვევა, როდესაც 2008 წლის არჩევნებში გაფრთხილება/გათავისუფლება მიცემული საარჩევნო მოხელე კვლავ იქნა აყვანილი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრად, თუმცა არა საოლქო საარჩევნო ადმინისტრაციის მხრიდან, არამედ საარჩევნო სუბიექტის მხრიდან. ასეთი ფაქტი დაფიქსირდა **# 79 ბათუმის** საარჩევნო ოლქში.

გარდა საუბნო საარჩევნო კომისიებისა, „სამართლიანმა არჩევნებმა“ და საია-მ ცესკოს ასევე წარუდგინა **# 3 საბურთალოს** საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარესთან დაკავშირებული ინფორმაცია, რომელსაც 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე მიეცა გაფრთხილება, ხოლო 2008 წლის საპარლამენტო არჩევნებზე - შენიშვნა არაკვალიფიციური საქმიანობის გამო. სადამკვირვებლო ორგანიზაციების რეკომენდაცია იყო აღნიშნული პიროვნების გათავისუფლება დაკავებული თანამდებობიდან. აღსანიშნავია, რომ 2010 წლის 30 მაისი არჩევნებისთვის აღნიშნული პიროვნება კვლავაც დარჩა **# 3 საბურთალოს** საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარედ.

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება განაგრძობს საარჩევნო ადმინისტრაციის წევრებისა და მათი საქმიანობების მონიტორინგს. ორგანიზაცია დააკვირდება არჩევნების დღესა და არჩევნების შემდგომ პერიოდში საარჩევნო მოხელეების მხრიდან მათი სამუშაოს ადეკვატურად და კვალიფიციურად შესრულებას. ხოლო მათი მხრიდან გამოვლენილი შესაძლო დარღვევების შემთხვევაში, ასეთ ინფორმაციას მიაწვდის საზოგადოებას. სრული საარჩევნო პროცესის დასრულების შემდეგ „სამართლიანი არჩევნები“ შეიმუშავებს რეკომენდაციებს, საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტების წესისა და საარჩევნო მოხელეების საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით.

სამართლიანი არჩევნებისა და
დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება

მისამართი: 0160 თბილისი,
ვაჟა ფშაველას გამზ. 7

ტელ: (995 32) 98 39 98
ფაქსი: (995 32) 37 22 13

ელ-ფოსტა: info@isfed.ge
ვებ-გვერდი: www.isfed.ge